

სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ IX

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი გამოსაცემად ამზადებს საერთაშორისო ინდექსის (ISSN) მქონე სამეცნიერო შრომების კრებულს „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ IX.

კრებულის პროფილი აერთიანებს სახელოვნებო მეცნიერებებს: ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, ქორეოლოგია, კულტურა, მედიახელოვნება, სახელოვნებო განათლება.

მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომისადმი

- ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 9 და არაუმეტეს 15 გვერდისა, გამოყენებული ლიტერატურის, საილუსტრაციო მასალისა და ინგლისური რეზიუმეს ჩათვლით.
- გამოყენებული შრიფტი ქართული ტექსტისათვის - AcadNusx; ზომა - 12; სტრიქონთაშორისი ინტერვალი - 1,5.
- ინგლისურენოვანი რეზიუმე წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატზე ტექსტურ რედაქტორ Word-ში; გამოყენებული შრიფტი: Times New Roman; ზომა - 12; სტრიქონთაშორისი ინტერვალი - 1,5; რეზიუმეს მოცულობა - 1,5-2 გვერდი.
- ლიტერატურის მითითების წესი: ტექსტში: (ბერიძე, 1963:23); ტექსტის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით: 1. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1963.
- ნაშრომს თან უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია: ავტორის სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა; სამუშაო ადგილი; ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი.
- დოქტორანტების ნაშრომი მიიღება ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.
- ნაშრომების მიღების ბოლო ვადა - 2022 წლის 1 ივნისი;
- სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ნაშრომის მიღების თაობაზე ავტორს ეცნობება 2022 წლის 15 ივლისამდე.

კრებულის რედაქტორი: პროფ. მაია ჭიჭილეიშვილი.

გთხოვთ ნაშრომი მოგვაწოდოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე: sofotavadze@hotmail.com

საკონტაქტო პირი: სოფო თავაძე. ტელ: 593 63 30 87